ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4746275

ნომერი: AR1715671

თარიღი : 30.10.2019

გაცემის თარიღი : 18.11.2019

გაცნობის თარიღი : 25.11.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სანაპირო კოსმონავტები , N 21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გერასიმე ხეცურიანი პ/ნ 01013002443
- თბილისი დ. წყნეთი სტალინის შეს. N 18

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს სანაპირო საინვესტიციო ჯგუფი კოდი: 202249673

ნომენკლატურა :

- პავილიონი
- IV კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: პავილიონი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დარეჯან შათაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს არტიტექსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405068386

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

“დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ტერიტორიულ-სტრუქტურულ პირობებს, საინჟინრო, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.
გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის 72-ე მუხლის თანახმად, დადგენილების დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრული ტერიტორიები უნდა განვითარდეს ამ მუხლში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, თბილისის ზღვის მიმდებარედ დანართი 1.11-ით განსაზღვრულ არეალზე „A“ სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის/წყალდაცვითი ზონის გათვალისწინებით შესაბამისი ურბანული, გარემოსდაცვითი და სატრანსპორტო კვლევების საფუძველზე, ტერიტორიის მაქსიმალურად სარეკრეაციო ფუნქციით უზრუნველყოფის პირობით. ზემოაღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „A“ არეალი გულისხმობს, მიწის ნაკვეთებს, რომლებიც უნდა განვითარდნენ ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ განსაზღვრული არეალის ფარგლებში დასამუშავებელი განაშენიანების რეგულირების გეგმით.
ვინაიდან, ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპიროზე N21-ში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ:01.13.05.010.068) მდებარეობს დანართი 1.11-ით განსაზღვრულ „A“ არეალში (თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორია), მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ტერიტორიაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს AR1715671 (30/10/2019) განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.